გზამკვლევი 2019

დიმიტრი (არზაყან) ემუხვარისა და ჟიული შარტავას სახელობის სტიპენდიები

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და
კულტურის სამინისტრო



2019-2020 სასწავლო წლისათვის

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტრო აგრძელებს განცხადებების მიღებას დიმიტრი (არზაყან) ემუხვარისა და ჟიული შარტავას სახელობის სტიპენდიატების გამოსავლენად.



მიზანი

სტიპენდიის დაწესება ემსახურება მაგისტრატურისა და ბაკალავრიატის სტუდენტების მოტივაციის ამაღლებას და აფხაზეთის მთავრობის მხრიდან წარმოადგენს ახალგაზრდების მხარდაჭერისა და აფხაზეთის თემატიკის პოპულარიზაციის მიმართულებით გადადგმულ ქმედით ნაბიჯს.



დიმიტრი (არზაყან) ემუხვარის სტიპენდია

გამიზნულია პოლიტიკის მეცნიერების დარგში განსაკუთრებული მიღწევებითა და წარმატებებით წარმოჩენილი, აფხაზეთის თემატიკაზე მომუშავე, ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის აკრედიტირებული უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის იმ სტუდენტებისათვის, რომლებსაც აქვთ 80% და მეტი აკადემიური მოსწრება, გამოქვეყნებული აქვთ სამეცნიერო ნაშრომები, მონაწილეობდნენ სამეცნიერო კონფერენციებში და არიან საზოგადოებრივად აქტიურები.

ჟიული შარტავას სახელობის სტიპენდია

გამიზნულია (გარდა პოლიტიკის მეცნიერების დარგში) განსაკუთრებული მიღწევებითა და წარმატებებით წარმოჩენილი, აფხაზეთის თემატიკაზე მომუშავე, ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის აკრედიტირებული უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის იმ სტუდენტებისათვის, რომლებსაც აქვთ 80% და მეტი აკადემიური მოსწრება, გამოქვეყნებული აქვთ სამეცნიერო ნაშრომები, მონაწილეობდნენ სამეცნიერო კონფერენციებში და არიან საზოგადოებრივად აქტიურები.



დიმიტრი (არზაყან) ემუხვარის სტიპენდია წესდება მაგისტრატურის სტუდენტისათვის თვეში 200 ლარის ოდენობით (არაუმეტეს 1 სტუდენტისა), ხოლო ბაკალავრიატის სტუდენტისათვის თვეში 200 ლარის ოდენობით (არაუმეტეს 1 სტუდენტისა).

ჟიული შარტავას სახელობის სტიპენდია წესდება მაგისტრატურის სტუდენტისათვის თვეში 200 ლარის ოდენობით (არაუმეტეს 1 სტუდენტისა), ხოლო ბაკალავრიატის სტუდენტისათვის თვეში 200 ლარის ოდენობით (არაუმეტეს 1 სტუდენტისა).

კანდიდატთა განაცხადებების წარდგენის ბოლო ვადაა 2019 წლის 31 ივლისი

ჟიული შარტავას სახელობის სტიპენდიატები

2016 – 2017 სასწავლო წელი

სტიპენდია მიენიჭა იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ისტორიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მეოთხე კურსის სტუდენტს - მაია ახალკაციშვილს.

2017-2018 სასწავლო წელი

სტიპენდია მიენიჭათ:

დავით დოლიძეს - გურამ თავართქილაძის სასწავლო უნივერსიტეტის სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის საბაკალავრო პროგრამის ჟურნალისტიკის მე-3 კურსის სტუდენტს;

თამარ ბარამიას - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის სამართლის სამაგისტრო პროგრამის სტუდენტს.



დიმიტრი (არზაყან) ემუხვარის სახელობის სტიპენდიატები

2017-2018 სასწავლო წელი

სტიპენდია მიენიჭათ:

თამარ ჩითინაშვილს - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პოლიტიკის მეცნიერების საბაკალავრო პროგრამის მე-4 სემესტრის სტუდენტს;

თეონა მჭედლიშვილს კავკასიის უნივერსიტეტის სახელმწიფო მართვის სკოლის საჯარო მმართველობის სამაგისტრო პროგრამის სტუდენტს.

2018-2019 სასწავლო წელი

სტიპენდია მიენიჭათ:

გიორგი დუნდუას - ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის სამაგისტრო პროგრამის ,,განათლების მეცნიერებები“ სტუდენტს;

დავითი ესათიას - კავკასიის უნივერსიტეტის ეკონომიკის სკოლის საბაკალავრო პროგრამის სტუდენტს.

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის
განათლებისა და კულტურის სამინისტრო

გისურვებთ წარმატებას!

დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ დარეკონ ტელეფონის ნომერზე:

+995 595 343 320 - ნინო ლობჟანიძე,
აფხაზეთის ა/რ განათლებისა და კულტურის სამინისტრო.

ან ეწვიეთ:

FACEBOOK TWITTER YOUTUBE ABKHAZIA.GOV.GE

სამინისტროს ცხელი ხაზი:
(+ 995 32) 2 95 03 24
სამინისტროს ელ-ფოსტა:
info@meca.gov.ge
მისამართი:
დ. უზნაძის № 68, თბილისი